ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

3 ნოემბერი, ხუთშაბათი, 1988 წ.
№ 212 (9879) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



## შემობრუნება

### საბჭოთა კავშირის თასი საქართველოს მოჭიდავეებს

საკავშირო თასი თავისუფალ ჭიდაობაში ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა უკანასკნელად 1969 წელს მოიპოვეს. ნაკრები გუნდის ღირსებას მაშინ საქვეყნოდ ცნობილი ათლეტები იცავდნენ (ზაურ შეყრილაძე, ტარიელ ალიბეგაშვილი, გივი ყვარელაშვილი, ნოდარ ხოხაშვილი, ზარბეგ ბერიაშვილი, ანდრო ცხოვრებოვი, შოთა პაპაშვილი, შოთა ლომიძე). მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, ბევრმა წყალმა ჩაიარა. საკავშირო სარბიელზე ახალი ფავორიტები წარმოჩინდნენ, რომელთაგან წარმატებას, სხვებზე უფრო ხშირად, რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები აღწევდნენ. შარშან საკავშირო თასი სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების გუნდებს შორის გათამაშდა, შარშანწინ კი საპატიო პრიზს სწორედ რუსეთის ფალავნები დაეუფლნენ.

ისინი წლეულსაც ბელორუსიის, უკრაინისა და საქართველოს მოჭიდავეებთან ერთად გამარჯვების მთავარ პრეტენდენტად ითვლებოდნენ. რუსეთის გუნდმა მოიპოვა კიდეც ფინალში ბრძოლის უფლება, მაგრამ ამჯერად, მასზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა მეორე ფინალისტი, რომელსაც გადაეცა საპატიო პრიზი. ეს მეორე — საქართველოს გუნდი გახლდათ. დიდი ხნის შესვენების შემდეგ თასი კვლავ ჩვენს რესპუბლიკას დაუბრუნდა.

რამდენიმე შეკითხვა ნაკრების უფროს მწვრთნელს ვლადიმერ მესტვირიშვილსა და მეორე მწვრთნელს მარლენ ოსიყმაშვილს, რომლებიც გუნდთან ერთად აეროპორტიდან პირდაპირ რედაქციას ესტუმრნენ (ასეთი ოპერატიულობისათვის მათ საგანგებოდ ვუხდით მადლობას).

იხ. მე-4 გვ.

**სურათზე:** თავისუფალ ჭიდაობაში სსრ კავშირის 1988 წლის თასის მფლობელი, საქართველოს ნაკრები. პირველ რიგში (მარცხნიდან): შამილ მაჰამედოვი („შრომითი რეზერვები", თელავი), ზურაბ ტატუაშვილი (ასკ, თბილისი), ეგია მუსოიანი („დინამო", სოხუმი), გოჩა გაბოძე („დინამო", კასპი), გივი სისაური („შრომითი რეზერვები", თბილისი), ნუგზარ სააკიანი (პროფკავშირთა სპორტსაზოგადოება, სოხუმი), პეტრე ლისენკო („დინამო", სოხუმი), დგანან: მერაბ ვალიევი („შრომითი რეზერვები", თბილისი), მწვრთნელი ვალერი კეკუტია (სოხუმი), გიორგი ივანიშვილი („შრომითი რეზერვები", ყვარელი), გიორგი გალდავა („შრომითი რეზერვები", თბილისი), ზაზა ტყეშელაშვილი („შრომითი რეზერვები", ვანი); მამუკა რაზმაძე („შრომითი რეზერვები", ონი), ავთანდილ გოგოლიშვილი („შრომითი რეზერვები", ლანჩხუთი), უფროსი მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ვლადიმერ მესტვირიშვილი და მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი მარლენ ოსიყმაშვილი.



## ვახტანგ იაგორაშვილმა ჩემპიონთა მსოფლიო თასიც მოიპოვა

**ამ** შეჯიბრებაში, რომელიც შვეიცარიაში ჩატარდა, მხოლოდ ჩემპიონები მონაწილეობენ, ისინი, ვინც თანამედროვე ხუთჭიდელთა შორის საუკეთესონი არიან თავიანთ ქვეყნებში. ვახტანგ იაგორაშვილი წელს სსრ კავშირის ჩემპიონიც გახდა და ქვეყნის თასიც მოიპოვა. ჩემპიონთა მსოფლიო თასის გათამაშებაში სსრ კავშირიდან, ცხადია, მხოლოდ ვახტანგი იყო მიწვეული. და აი, კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვება — ვახტანგ იაგორაშვილი თბილისში ახლა მსოფლიო თასით ხელდამშვენებული ბრუნდება.

## გუშინ...

**კიროვის სახელობის პარკის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში გაიმართა კორაჩის თასის გათამაშების კალენდარული მატჩი თბილისის „დინამოსა" და პირეის „ოლიმპიაკოსს" შორის. გაიმარჯვეს სტუმრებმა ანგარიშით 96:75 (52:34).**

ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა გაიმართება 9 ნოემბერს საბერძნეთის ქალაქ პირეიში.

## პოლიტექნიკოსები — მთაში

უკვე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ალპინიადები ტრადიციულად დამკვიდრდა.

— ამ საქმეში დიდ დაინტერესებას იჩენს და დახმარებასაც გვიწევს ინსტიტუტის ხელმძღვანელობა, — გვეუბნება ალპინიადების ხელმძღვანელი შოთა ელისაშვილი. — ამ სასწავლებლის წარმომადგენლები ჩვეულებრივ ყაზბეგის რაიონში, ხდის ხეობის მწვერვალებზე ვაწყობთ ასვლებს, ახლა კი ამგვარ ტრადიციას ვუღალატეთ და 50-კაციანი რაზმით ჭაუხების მასივს ვესტუმრეთ. ალპინიადის სასწავლო ნაწილის გამგის ვაჟა მათითაიშვილის ხელმძღვანელობით ახალბედებს წინასაბანაკო თეორიული მომზადება ჩაუტარდათ ჭაუხების მწვერვალთა მისადგომებთან. მათ პრაქტიკული მეცადინეობაც გაიარეს კლდეებზე, თოვლზე, ნაშალ ფერდობებზე... შემდეგ კი ასვლების დღეც დადგა. ალპინიადის მონაწილეებმა, თავიანთი მომზადების მიხედვით, დალაშქრეს სხვადასხვა სირთულის მარშრუტები. ისინი ავიდნენ თიკანაძის, რჩეულიშვილის, ფიროსმანისა და ასათიანის სახელობის მწვერვალებზე.



რა შოგვცა ამ ალპინიადამ? თხუთმეტმა ახალგაზრდამ მთამსვლელური ნათლობა მიიღო და ჭაუხებიდან „სსრკ ალპინისტის ნიშნოსნად" დაბრუნდა. სამმა მესამე, ერმაც მეორე თანრიგის ნორმატივი შეასრულა, სხვებმა კი ოსტატობა აიმაღლეს და გამოცდილებაც გაამდიდრეს.

### მატჩი ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე მაია ჩიბურდანიძესა და ნანა იოსელიანს შორის

## მეთხუთმეტე პარტია

**მ. ჩიბურდანიძე — ნ. იოსელიანი**

**სიცილიური დაცვა**

1. e4 c5 2. მc3 e6 3. მf3 d6 4. d4 cd 5. მ:d4 მf6 6. g3 კe7 7. კg2 0—0 8. 0—0 a6 9. a4 ლc7 10. h3 მc6 11. მde2 ეb8 12. g4 b5 13. ab ab 14. მg3 b4 15. მce2 კb7 16. g5 მd7 17. f4 ეa8 18. ეb1 ეfc8 19. f5 მce5 20. მd4 მc5 21. f6 კf8 22. b3 ეd8 23. ლe1 g6 24. კf4 ლb6 25. ეd1 მed3 26. cd მ:b3 27. ეb1 ლ:d4+ 28. მფh2 ეa3 29. მe2 ლb6 30. ეf3 e5 31. კe3 ლa5 32. მc1 ლa4 33. h4 d5 34. კb6 ეc8 35. მ:b3 ე:b3 36. ე:b3 ლ:b3 37. h5 de 38. ეh3 ეc2 39. hg fg 40. de ლa2 41. ეg3 ლf7.

პარტია გადაიდო.

**მართალია,** მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მაია ჩიბურდანიძემ ვადამდე შეინარჩუნა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სპორტული ბრძოლა არ ცხრება, თითოეული პარტიისადმი ინტერესი არ ნელდება. ამის ნათელი დადასტურებაა მე-15 პარტია. ნანა იოსელიანმა ამ მატჩში უკვე მეოთხედ მიმართა სიცილიურ დაცვას. მეტოქეებმა სწრაფად გაითამაშეს დებიუტი. მე-12 სვლიდან ჩიბურდანიძემ აამოძრავა მეფის ფრთის პაიკები და ამ ფლანგზე წამოიწყო შეტევა. პრეტენდენტმა კი აქტიურად განალაგა თავისი ფიგურები ლაზიერის ფრთაზე და ცენტრში. მსოფლიო ჩემპიონმა მიტელშპილში (23. ლe1) არაზუსტად ითამაშა (უმჯობესი იყო 23. fg). საპასუხო სვლის (23. ...g6) შემდეგ თეთრების გეგმა — მეფის ფრთის გარღვევა, შეუძლებელი გახდა. იოსელიანი თანდათან აძლიერებდა პოზიციას.

საბოლოოდ პარტია გადაიდო. 42-ე სვლა ჩაიწერა მსოფლიო ჩემპიონმა.

**ტელეფონით, „ლელოს" სპეც. კორ.**
თელავი.

## გუშინ...

**თელავში უნდა დამთავრებულიყო მატჩის მე-15 პარტია, მაგრამ მაია ჩიბურდანიძემ თამაშის განუახლებლად თავი დამარცხებულად სცნო. ამრიგად, ანგარიში გახდა 8:7 მსოფლიო ჩემპიონის სასარგებლოდ. ბოლო, მე-16 პარტია, რეგლამენტით დღეს უნდა გაიმართოს. თეთრი ფიგურებით ითამაშებს პრეტენდენტი.**

**ხიროსიმა.** საბჭოთა ფრენბურთელი ვაჟები აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირებში ასპარეზობენ. ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდებიან: სსრ კავშირი—არგენტინა და აშშ—იაპონია.

**ჰონკონგი.** აქ გაიმართა ფრენბურთელ ქალთა საინტერესო მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ საბჭოთა კავშირის ნაკრები და მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენთაგან (ჩინეთი, პერუ, კუბა) დაკომპლექტებული. გუნდი. საბჭოთა ფრენბურთელები დამარცხდნენ — 15:11, 7:15, 7:15, 15:6, 13:15.

**პრადეც-კრალოვი** (ჩეხოსლოვაკია). ამ ქვეყნის ჰოკეისტთა ოლიმპიური ნაკრები დამარცხდა კანადის გუნდთან —3:5 (0:0, 1:3, 2:2).

### ტელეტაიპი — მკითხველს

**ნიუ-იორკი.** ნხლ-ს ჰოკეისტთა ჩემპიონატს თავიანთ ქვეჯგუფებში ლიდერობენ: „ნიუ-იორკ რეინჯერსი", „ბოსტონ ბრიუინზი", „ტორონტო მეიპლ ლიფზი" და „კალგარი ფლეიმზი". პროფესიული ჰოკეის გუშინდელი აუტსაიდერი „ლოს-ანჯელეს კინგზი", რომელიც კალგარის დივიზიონში გამოდის, ჯერჯერობით II ადგილზეა, მაგრამ ლიდერს უსწრებს მოგებებისა და გატანილი შაიბების რაოდენობით.

### I ლიგა

## სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

**გუშინ** გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 43-ე ტურის მატჩები.

მოსკოვში, ცსკა-ს დახურულ მანეჟში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი არმიელები და ლანჩხუთის „გურია".

მატჩი დამთავრდა არმიელთა გამარჯვებით — 5:2. გაზეთის დაბეჭდვის წინ დავუკავშირდით ვოლგოგრადს. იქ „როტორი" შეხვედრას იგებდა „ფახთაკორთან" 2:0 (ანგარიში თამაშის პირველი ნახევრისაა).

ორიენტირი — საკავშირო ახალგაზრდული სპორტული თამაშები

**ეს-ესაა შეჯამდა ჭაბუკთა მეორე საკავშირო თამაშების შედეგები და ახალგაზრდული თამაშებისთვის მზადების დროც დადგა (ეს თამაშები გაისად გაიმართება). ამიტომაა, რომ ყველა რესპუბლიკურ შეჯიბრებას კვლავ „მუშტრის თვალით" ვუყურებთ.**

# კვლავ „მუშტრის თვალით..."

## ერთი შეჯიბრების ეკონომიკური წახნაგი

ასე იყო ამჯერადაც, ახლახან ფოთში ჩატარებულ საქართველოს აფროსანთა ღია პირველობაზე, რომელშიც სომეხმა სპორტსმენებმაც მიიღეს მონაწილეობა.

სტუმართა გამოსვლამ, ცხადია, ინტერესი შემატა ასპარეზობას, აამაღლა კონკურენციის დონე და უფრო პრინციპული გახადა პირველობისთვის ბრძოლა.

„470"-ის კლასში სტუმარ-მასპინძლებმა „ქულები გაიყვეს" — ქალთა შეჯიბრებაში იმარჯვეს ფოთელებმა ა. მიტროფანოვამ და ლ. გერსამიამ, ვაჟებში — სევანელებმა ვ. ხაჩატრიანმა და ა. სუკიასიანმა.

აფრიანი დაფებით ასპარეზობა მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა — ვაჟთა კონკურსში პირველი ადგილი დაიკავა სოხუმელმა ჯ. გვათუამ, ქალთა შორის საუკეთესო იყო ბათუმელი კ. ბალდასაროვა — „ფინისა" და „სხივის" კლასებში კი წონასწორობა კვლავ აღდგა — ამ ნავებით რბოლებში გაიმარჯვეს ა. ბადალიანმა და ვ. დიასამიძემ.

ზემოთ უკვე მოგახსენეთ, რომ ამ შეჯიბრებას, მომავალი ახალგაზრდული თამაშების „ხათრით", „მუშტრის თვალით" ვუყურებდით, მაგრამ, არ იფიქროთ, მარტო სპორტული შედეგები გვაინტერესებდა — პირიქით, ქულებზე და ადგილებზე მეტად ჩვენი აფროსნობის ის ძველი პრობლემები უფრო გვაღელვებდა, რომლებიც ჭაბუკთა საკავშირო თამაშებში საქართველოს აფროსანთა ნაკრების გამოსვლაშიც აისახა და, ცხადია, მომავალ ახალგაზრდულ თამაშებშიც იჩენს თავს.

სანამ უშუალოდ ამ პრობლემებზე გადავიდოდეთ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ შემდეგი გარემოება: ბოლო პერიოდში ჩვენს აფროსნობაში სასიკეთო ძვრები იგრძნობა — რესპუბლიკის სპორტსახკომმა გააძლიერა ყურადღება ამ სახეობის საერთო მდგომარეობის მიმართ, ამაღლდა მომთხოვნელობა, მიღებულია დადგენილება აფროსნობის შემდგომი განვითარების შესახებ, არჩეულ იქნა რესპუბლიკური ფედერაციის ახალი შემადგენლობა, რომელიც აქტიურად ჩაება ამ ამოცანის განხორციელებაში და ა. შ. ცხადია, ეს გამოცოცხლება სასურველ შედეგს მომავალში მოიტანს, დღეისათვის კი საერთო სურათი ასეთია: აშკარად არადამაკმაყოფილებელია ჩვენი აფროსნების ტაქტიკური და ფსიქოლოგიური მომზადების დონე. ეს ხარვეზი რესპუბლიკის ნაკრების წამყვან წევრთა გამოსვლაშიც შეიმჩნევა — ჭაბუკთა თამაშებში საქართველოს ნაკრები გუნდის ხელმძღვანელობა ერთი მედლის მოპოვებას ვარაუდობდა, მაგრამ, სპეციალისტების აზრით, „ვინდგლაიდერისა" და „470"-ის კლასებში სწორედ ტაქტიკურმა და ფსიქოლოგიურმა მოუმზადებლობამ დაგვაკარგვინა მედალი. ჩვენი აფროსნების ამ საერთო ნაკლის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, კვალიფიციურ მწვრთნელთა ნაკლებობაა — ამჟამად რესპუბლიკაში მხოლოდ რვა უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტი მუშაობს, ეს კი, დაგვეთანხმებით, ძალზე ცოტაა.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში საიალქნო კლუბები ერთი ხელის თითებზე ჩამოითვლება, მათი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვის დონე საგრძნობლად ჩამორჩება დღევანდელ მოთხოვნებს. ერთადერთი კლუბი, სადაც სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის ნორმალური პირობებია და არც მატერიალურ ნაწილზე ითქმის საყვედური, ბათუმელ აფროსანთა ბაზაა, მაგრამ, როგორც რესპუბლიკის სპორტსახკომის მთავარმა მწვრთნელმა აფროსნობაში თამაზ ზოიძემ გვაცნობა, ამ ბოლო დროს ბათუმის საიალქნო კლუბის მუშაობაში ერთი არასასურველი ტენდენცია შეინიშნება: სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის მომიზეზებით, ზედმეტი ყურადღება ეთმობა იმას, რაც კლუბს შემოსავალს გაუზრდის (ნავების გაქირავება და მომსახურების სხვა ფორმები), ოლიმპიურ კლასებზე მზრუნველობამ კი აშკარად იკლო.

დიდი საქმე გაკეთდა ფოთში — ქალაქის საზღვაო-სავაჭრო ნავსადგურის შემწეობით აიგო მშვენიერი საიალქნო კლუბი, მაგრამ, იმის გამო, რომ გაჭიანურდა კლუბის საბოლოოდ მოწყობა (სახელოსნოები, საშხაპეები, საკლასო ოთახები) და მატერიალური ნაწილით მომარაგება, სასწავლო-საწვრთნელი პროცესის ნაყოფიერება ძალზე დაბალია.

არც სოხუმელ აფროსნებს აქვთ საკმარისი რაოდენობის ნავები. სარეკონსტრუქციო სამუშაოების დაუმთავრებლობა აფერხებს მუშაობას საიალქნო კლუბ „შუქურაში", ჯერჯერობით კვლავ გადაუწყვეტელია მწვრთნელთა საშტატო ერთეულების დაშვების საკითხი სოხუმის მეორე საიალქნო კლუბ „ამრაში", რის გამოც ამ ბაზაზე სპორტული ჯგუფები არ მეცადინეობენ.



დაიწყო თბილისის საიალქნო კლუბის რეკონსტრუქციაც. დიდი ხნის განმავლობაში ამ კლუბის სავალალო დღეში ყოფნამ (აქ ელემენტარული სავარჯიშო პირობებიც არ იყო), ერთ დროს რესპუბლიკის აფროსნობის ლიდერი უიმედო აუტსაიდერად აქცია — დიახ, საქართველოს ნაკრები გუნდის ბირთვს თბილისელი აფროსნები შეადგენდნენ, დღეს კი ნაკრებში არც ერთი აქაური სპორტსმენი არ არის.

როგორც ვხედავთ, ჩვენი აფროსნების უმთავრესი პრობლემა ხელმოკლეობაა. აფროსნობა მართლაც ძვირადღირებული სახეობაა და ამიტომაა, რომ „ცხოვრების საშუალო დონე" ჩვენში დიდ ფუფუნებად ითვლება. არადა სულ ამ დღეში ყოფნა და ხელმოკლეობაზე წუწუნიც არ ივარგებს, როდესმე ხომ უნდა გაიმართონ წელში ჩვენი აფროსნები! ამისათვის კი, ცხადია, საკმაო თანხებია საჭირო, ეს თანხები კი მდიდარი ორგანიზაციების მიზიდვისა და მათთან „შეამხანაგების" გარეშე არ გამოჩნდება. სწორედ ეს გახლავთ ჩვენი აფროსნობის შემდგომი განვითარების ერთი უმთავრესი პირობათაგანი, რომლის მოგვარების შემთხვევაში ბევრი რამ სასიკეთოდ შეიცვლება. დასამალი არ არის, რომ დღევანდელ ეკონომიკურ ვითარებაში ეს ერთობ რთული და დელიკატური საკითხია — წარმოება-დაწესებულებანი, სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის პირობებში, ძველებურად ხელგაშლილი ველარ იქნებიან, მაგრამ, დაგვეთანხმებით, ახალი სიტუაცია სულაც არ გულისხმობს „ეკონომიკური პარტიკულარიზმის" ნაჭუჭში შეკეტვას. პირიქით — გამჭრიახი და გონიერი მეურნე ახალ პირობებში უფრო თავისუფლად გაიღებს იმ თანხას, რომელიც თანაბრად წაადგება „მისი" საწარმოს მუშა-მოსამსახურეთა „მუდმივ სამუშაო ფორმაში" ყოფნას და ქალაქის, რეგიონის თუ რესპუბლიკის სპორტულ ინტერესებს.

ერთი სიტყვით, მონდომება და თავგზიანობა იყოს, თორემ შეუძლებელი არაფერია. სხვა თუ არაფერი, ჩვენივე სირცხვილია, ვერ ვიყენებდეთ აფროსნობის განვითარებისთვის ისეთ ხელსაყრელ გეოგრაფიულ და კლიმატურ პირობებს, როგორიც საქართველოშია და თან გამუდმებით იმას ვჩიოდეთ — სხვები გვჯობნიან, ჩვენზე უკეთ იყენებენ ჩვენივე ბუნების სიკეთესო.

**თამაზ შენგელია.**

---

განვიხილავთ პროექტებს

„2005 წლამდე პერიოდისათვის საქართველოს სსრ საწარმოო ძალების განვითარებისა და განლაგების სქემის ძირითადი დებულებები"

# ნურც ეკოლოგიას დავივიწყებთ, ნურც-ესთეტიკას

ახლა რესპუბლიკურ პრესაში სულ უფრო ხშირად ვკითხულობთ უცხოეთის სხვადასხვა ფირმათა წარმომადგენლების აზრს საქართველოში ტურიზმის განვითარებისათვის შესანიშნავი ბუნებრივი პირობების შესახებ. თუმცა, მათი აზრიც რომ არ წავიკითხოთ, ისედაც მშვენივრად ვიცით ჩვენი ბუნებრივი პირობები. განა ბევრი ქვეყანა მოიწონებს თავს ზღვითა და დათოვლილი მწვერვალებით, მღვიმეებითა და მინერალური წყლებით?.. ახლა ამას მიათვალეთ ისტორიისა და კულტურის ძეგლები, რითაც მთელი საქართველო სავსეა. ეს ყველაფერი ტურისტებისთვის ნამდვილი სამოთხეა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ კიმდიდრეს სათანადოდ ვერ ვიყენებთ. ვერ ვიყენებთ, რადგან ცოტაა სასტუმროები, ტურბაზები, საბაგირო გზები... ახლა კომფორტიც ვიკითხოთ, ზოგან კი ეს ყველაფერი საერთოდ არა გვაქვს — არც კომფორტი და არც უკომფორტობა. ამიტომ ვერც ყველა ჩვენგანი ისვენებს და ვერც სტუმრებს ავუდივართ.

წლების განმავლობაში დაკარგული ვალუტაც დავითვალოთ...

ახლა სხვა დრო დგება. ამის დასტურია თუნდაც პრესაში გამოქვეყნებული რესპუბლიკის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პერსპექტივის ამსახველი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, რომელიც საკურორტო-ტურისტული მეურნეობის განვითარებასაც ითვალისწინებს.

იმედია, ტურისტული კომპლექსების აგებისას ეკოლოგიურ მხარესაც გაითვალისწინებენ და არც ესთეტიკასაც დაივიწყებენ ისე, როგორც, ვთქვათ, ეს ყაზბეგში, სამებას მონასტერთან საბაგირო გზის ბაქანის აგებისას გააკეთეს და ბუნების სილამაზეში დისონანსი შეიტანეს.

**ზურაბ ავთანდილაშვილი.**
თბილისი.

# უპასუხებს თუ არა სასკოლო პროგრამას?

**საქართველოს** უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების წინ აბიტურიენტთა შემოწმება ფიზიკურ მომზადებაში, ჩემი ღრმა რწმენით, ერთ-ერთი სასიკეთო წამოწყებათაგანია. ეს დროის მოთხოვნაა. მოგეხსენებათ, თვით სპორტსმენთა რიგებშიც კი გამოჩნდნენ ფიზიკურად სუსტები და საკავშირო სპორტსახკომი იძულებული გახდა შეჯიბრების დაწყების წინ სპორტის ზოგიერთ სახეობაში შემოეღო ნორმატივების სავალდებულო ჩაბარება საერთო ფიზიკურ მომზადებაში. წინათ ამის აუცილებლობა არ იყო.

მე და „ლელოს" სხვა მკითხველები სახალხო განათლების სამინისტროს და რესპუბლიკის სპორტსახკომის მიერ შემუშავებული ნორმატივების კრიტიკისგან შორს უნდა დავდგეთ, რადგანაც ისინი ამ საქმეში გაცილებით კარგად ჩახედული სპეციალისტები არიან. მაგრამ თავს უფლებას მივცემ მოგახსენოთ ჩემი მოსაზრება.

უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების პროგრამების შედგენაში არსებობს დიდი ხნის საყოველთაოდ ცნობილი ტრადიცია — ისინი სასკოლო საგნობრივი პროგრამების საფუძველზე დგება და მას არც „ფიზიკურ მომზადებაში" უნდა გადავუხვიოთ. ვფიქრობ, ნორმატივები „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის კომპლექსური პროგრამის" საფუძველზეა შედგენილი, თუმცა ავტორები ამის შესახებ არაფერს გვითითებენ. ასევე მითითებული არაა რა გადახვევებია ამ პროგრამიდან და რა მოსაზრებით.

თუ საქმეში უფრო ღრმად ჩავიხედავთ, დავრწმუნდებით, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკური აღზრდის საქმე მთლად კარგად ვერ არის. ფაქტობრივად მისაღებ გამოცდებზე ფიზიკურ მომზადებაში აბიტურიენტთა შემოწმება საშუალო სკოლაში დაშვებული ხარვეზების გამოსწორების ერთ-ერთი საშუალებაა, მაგრამ პანაცეა არ არის — ქვეყანას ფიზიკურად კარგად მომზადებული უმაღლესდამთავრებულებთან ერთად ჯანმრთელი უმაღლესდაუმთავრებლებიც სჭირდება.

ახლა კონკრეტული წინადადებები:

1. გაუმჯობესდეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მუშაობა და ფიზიკური აღზრდა ისევე ავტორიტეტული გახდეს, როგორც ატესტატში შემავალი სხვა საგანი.

2. უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთათვის ნიშნები · არ დაიწეროს და „ჩათვლით" დავკმაყოფილდეთ. თანაბარ პირობებში აბიტურიენტს ეს შეფასება უნდა აძლევდეს უპირატესობას (ცხადია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აბიტურიენტი ექიმის მიერ არის განთავისუფლებული).

პროგრამების შედგენას და მომზადების დონის შემოწმებას, როგორც საშუალო, ისე უმაღლეს სკოლაში, ფრთხილი მიდგომა სჭირდება. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თუ ზედმეტ „გულმოდგინებას" გამოვიჩენთ, შედეგიც არ დააყოვნებს — გაჩნდებიან ვაი-რეპეტიტორები, ამას კი მუდამ სდევს მანკიერებანი.

იმედი მაქვს წამოწყებული საქმე კარგად გაგრძელდება, რაც სულ რამდენიმე წელიწადში თვალსაჩინო შედეგებს მოგვცემს.

**მიტო ვარძელაშვილი,**
**საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**

თბილისი.

---

# განახლებული გუნდით

**როგორც** ცნობილია, თბილისის „ბურევესტნიკის" ვაჟ ხელბურთელთა გუნდმა დატოვა უმაღლესი ლიგა და ახლა ქვეყნის ჩემპიონატის პირველ ლიგაში გამოდის.

ჩვენმა ხელბურთელებმა წარმატებით აიღეს სტარტი ახალ გათამაშებაში (იგი ამჯერად მრავალტუროვანი ფორმულით ტარდება) — პირველსავე წრეში დაამარცხეს ყველა მეტოქე: ლვოვის ასკ (20:19), შიაულიაის „ტაურასი" (25:23) და ტალინის „კოოპერატორი" (22:18).

ასევე კარგად დაიწყო „ბურევესტნიკმა" მეორე წრეც — მოუგო „კოოპერატორს" ანგარიშით 22:20.

გუშინ თბილისელმა ხელბურთელებმა მეხუთე გამარჯვება მოიპოვეს — ლვოველებთან 22:18.

დღეს მასპინძლები (თამაშები „ბურევესტნიკის" სპორტულ კომპლექსში მიმდინარეობს) „ტაურასს" ხვდებიან.

გათამაშების მეორე ტური ტალინშია დანიშნული (10-13 ნოემბერს). ესტონეთის დედაქალაქში ასევე ოთხი გუნდი იასპარეზებს: თბილისის „ბურევესტნიკი", ვორონეჟის „ხიმიკი", მოსკოვის „ისკრა" და ტალინის „კოოპერატორი".

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი გუნდი იქაც წარმატებით იასპარეზებს. რა გვაძლევს ამის რწმენას? უპირველეს ყოვლისა, მონდომება, რომლითაც დღეს გამოირჩევა ეს ახალგაზრდული და განახლებული გუნდი. მას შემდეგ, რაც კოლექტივი გამოეთხოვა უძლიერესთა ლიგას, მისი რიგები მიატოვეს გამოცდილმა ოსტატებმა ვლადიმერ მიხუტამ (იგი მოსკოვში, მაი-ს გუნდში გადავიდა), ვალერი ტიუნჩიკმა და ზაზა ბულიამ. მათ სანაცვლოდ ჩვენი რესპუბლიკის ჭაბუკთა გუნდებიდან მოვიდა რამდენიმე ნიჭიერი ხელბურთელი, რომელთაგან პირველ რიგში აღსანიშნავი არიან 17 წლის მოთამაშეები — თავდამსხმელი მამუკა შენგელია და მეკარე როლანდ ერაძე. მართალია, გუნდს დღეს აკლია გამოცდილება, მაგრამ, ვიმედოვნებთ, მწვრთნელების გიორგი ბერიაშვილისა და ალბერტ გასიევის ხელმძღვანელობით ახალგაზრდული კოლექტივი მომდევნო ტურებში ამ ხარვეზსაც თანდათან დაძლევს და გაისად მას კვლავ უმაღლეს ლიგაში ვიხილავთ. ამას მოითხოვს ქართული ხელბურთის ტრადიციები და ინტერესები.

**რედაქციისაგან: ამბობენ, სპორტის ამა თუ იმ სახეობის ყველაზე საუკეთესო პროპაგანდისტი კარგად ორგანიზებული შეჯიბრებააო. დავძენთ, — მაყურებლით! ხელბურთელთა ზემოაღნიშნული ასპარეზობა კი ისე მიმდინარეობს, მაყურებელმა და გულშემატკივარმა არაფერი იცის. არ დავმალავთ, რედაქციაშიც არ ვიცოდით. რატომ? არც ოქტომბრის, არც ნოემბრის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარში, რომელიც რესპუბლიკის სპორტსახკომის შესაბამისმა განყოფილებამ მოგვაწოდა და „ლელოში" გამოქვეყნდა, ხელბურთელთა შეჯიბრება აღნიშნული არ არის. სპორტსახკომის სპორტული თამაშების განყოფილებამ კი გაზეთს არათუ აცნობა, სარეკლამო ინფორმაციაც არ მიაწოდა. აფიშები? ქალაქში საგანგებოდ ვეძიეთ და აფიშებს ვერსად მივაკვლიეთ. თუმცა, სპორტსახკომის მთავარმა მწვრთნელმა ვ. მურადოვმა გვითხრა, რომ აფიშები სარეკლამო ბიუროს დროულად ჩააბარეს. კი მაგრამ, სად გააკრეს, რატომ არ დაინტერესდნენ შეჯიბრების ორგანიზატორები? სარეკლამო ბიურო აფიშებს იბარებს, გასამრჯელოც მიაქვს, მაგრამ იქნებ არ აკრავს ქალაქის სარეკლამო ფარებზე, არც ამაზე დაფიქრებულა ვინმე.**

**ეს საკითხები სერიოზულ შესწავლას მოითხოვს და, ვფიქრობთ, რეაგირების გარეშე არ დარჩება.**

---

## მოკლედ

**თერჯოლაში** ერთ თვეს გასტანა რაიონის პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების პირველობამ ფეხბურთში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების გუნდებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდა რაიონის 16 კოლექტივი.

ფინალში ერთმანეთს ეწერისა და ბარდუბნის კოლმეურნეობათა გუნდები შეხვდნენ. დამატებითი 11-მეტრიანების სერია უფრო ზუსტად ბარდუბნელმა ფეხბურთელებმა შეასრულეს და პირველი ადგილიც მათ დაისაკუთრეს.

**ვანო კუტალაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

### უმაღლესი ლიგა

**გთავაზობთ** სსრ კავშირის 51-ე საფეხბურთო ჩემპიონატის 27-ე ტურის სტატისტიკურ მონაცემებს.

**„არარატი“ — „დინამო“ (კიევი) 1:2 (1:1).** გოლები: ხაშმანიანი („არარატი“), მიხაილიჩენკო, ლიტოვჩენკო („დინამო“).

გააფრთხილეს კიევის დინამოელი ა. ბალი.

ამ გუნდების დუბლიორებმა ითამაშეს ორჯერ. პირველი წრის შეხვედრა დამთავრდა კიეველთა სასარგებლოდ — 4:3, ხოლო მეორე წრისა ფრედ — 2:2.

**„მეტალისტი“ — „დინამო“ (მოსკოვი) 1:0 (0:0).** გოლი: ბარანოვი („მეტალისტი“).

დუბლიორები — 3:0.

**„ლოკომოტივი“ — „შახტიორი“ 2:0 (0:0).** მატჩი შედგა ცსკა-ს დახურულ მანეჟში. ორივე ბურთი გაიტანა რუსიაევმა.

გააფრთხილეს გორლუკოვიჩი, გოლოვნია, აბრამზონი („ლოკომოტივი“), ლეონოვი, გერასიმეცი („შახტიორი“).

მატჩი იმსაჯა საქართველოს მსაჯთა კოლეგიის ბრიგადამ: გ. სეფიაშვილი, ა. კოკაია, მ. ჰელიძე (თბილისი).

დუბლიორები — 0:2.

**„ნეფთჩი“ — „ტორპედო“ 1:1 (0:1).** გოლები: ნ. სავიჩევი („ტორპედო“), კასუმოვი („ნეფთჩი“).

დუბლიორები — 0:2.

**„ჟალგირისი“ — „ჩერნომორეცი“ 2:1 (0:1).** გოლები: ნიკიფოროვი („ჩერნომორეცი“), ფრიდრიკასი-2 („ჟალგირისი“).

დუბლიორები — 1:0.

**„დინამო“ (მინსკი) — „სპარტაკი“ 0:2 (0:2).** ორივე გოლი გაიტანა სპარტაკელმა როდიონოვმა.

დუბლიორები — 1:1.

**„ზენიტი“ — „დნეპრი“ 0:1 (0:1).** ერთადერთი ბურთი 43-ე წუთზე გაიტანა დნეპროპეტროვსკელმა ჩერედნიკმა.

დუბლიორები — 2:1.

**◉ განვლილი** ტურის მატჩებში 8 ფეხბურთელმა დაიმსახურა გაფრთხილება. წესრიგის დამრღვევთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა კიევის დინამოელი ო. კუზნეცოვი, რომელსაც მსაჯებმა წლევანდელ სეზონში შვიდჯერ აჩვენეს ყვითელი ბარათი. 6 გაფრთხილება მიიღო მოსკოვის ლოკომოტიველმა ა. სოლოვცოვმა.

**◉ სამმა** გუნდმა დაიმსახურა „გამარჯვებისადმი სწრაფვის“ პრიზის ბალი: „ტორპედომ“, „ჟალგირისმა“ და კიევის „დინამომ“.

**◉ ხუთ** ჩემპიონატის დაწყებიდან მასპინძლებმა მოიგეს 111 შეხვედრა, სტუმრებმა — 41, ფრედ დამთავრდა 63 მატჩი.

**◉ ჩემპიონატის** საუკეთესო ბომბარდირთა შორის წინაა დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ თავდამსხმელი ე. შახოვი — 14 ბურთი. მეორე ადგილზეა მოსკოვის ლოკომოტიველი მ. რუსიაევი — 13, მესამეზე — ს. როდიონოვი („სპარტაკი“) — 12.

**◉ წლევანდელი** ჩემპიონატის 27 ტურში გატანილია 461 გოლი, რომელთაგან 293 მასპინძლებს ეკუთვნის და 168 — სტუმრებს.

### გათამაშების ცხრილი

### დუბლიორთა შემადგენლობანი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ მ. | 26 | 16 | 6 | 4 | 39-19 | 38 |
| „დინამო“ კ. | 27 | 15 | 6 | 6 | 45-31 | 36 |
| „სპარტაკი“ | 27 | 13 | 9 | 5 | 52-37 | 35 |
| „ტორპედო“ | 27 | 15 | 4 | 8 | 39-30 | 34 |
| „ჟალგირ.“ | 27 | 12 | 9 | 6 | 38-19 | 33 |
| „დნეპრი“ | 27 | 13 | 5 | 9 | 38-33 | 31 |
| „დინ.“ თბ. | 27 | 10 | 10 | 7 | 35-33 | 30 |
| „ზენიტი“ | 27 | 10 | 5 | 12 | 28-37 | 25 |
| „ლოკომოტ.“ | 24 | 9 | 6 | 9 | 32-28 | 24 |
| „ჩერნომორ.“ | 26 | 9 | 6 | 11 | 28-32 | 24 |
| „მეტალ.“ | 26 | 8 | 7 | 11 | 37-34 | 23 |
| „შახტიორი“ | 27 | 8 | 5 | 14 | 36-47 | 21 |
| „არარატი“ | 25 | 7 | 5 | 13 | 37-46 | 19 |
| „დინ.“ მნ. | 27 | 6 | 6 | 15 | 30-44 | 18 |
| „კაირატი“ | 26 | 5 | 5 | 17 | 25-51 | 15 |
| „ნეფთჩი“ | 23 | 3 | 8 | 12 | 12-31 | 14 |

# ცვლილებები კალენდარში

**სსრ კავშირის** ფეხბურთის ფედერაციამ კვლავ მოახდინა ცვლილებები ჩემპიონატის კალენდარში.

თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „ტორპედოს“ მატჩი 4 ნოემბრიდან გადატანილია 3 ნოემბრისთვის, ასევე გადაიტანეს 4 ნოემბრიდან 3 ნოემბრისთვის „ჟალგირისისა“ და „სპარტაკის“ შეხვედრა, ხოლო „ლოკომოტივისა“ და „დნეპრის“ მატჩი 4 ნოემბრის ნაცვლად გაიმართება 5 ნოემბერს.

ვინაიდან დნეპროპეტროვსკის „დნეპრი“ უცხოეთში მიემგზავრება საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად, მისი შეხვედრა „ჟალგირისთან“ 19 ნოემბრის ნაცვლად გაიმართება 11 ნოემბერს.

სსრ კავშირის თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩი კიევის „დინამოსა“ და ვილნიუსის „ჟალგირისს“ შორის შედგება 8 ნოემბერს.

## საქართველოს პირველობა

**განვლილ** კვირას გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის 35-ე ტურის შეხვედრები.

**„სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 4:3. მსაჯი ო. გაგუა (სოხუმი).** გოლები: მ. ახალაია, ქვილითაია, ი. სიჭინავა, ციმაკურიძე („სამეგრელო“), სილაგაძე, ჩინჩალაძე-2 („საპოვნელა“).

**„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „სულორი“ (ვანი) 2:0. (მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).** გოლები: სიუკაევი, დადუნაშვილი („მეტალურგი“).

**„შადრევანი“ (წყალტუბო) — „სქური“ (წალენჯიხა) 1:2. მსაჯი ვ. ალიევი (თბილისი).** გოლები: იობიძე („შადრევანი“), მოისწრაფიშვილი, კვირტია („სქური“).

**„ამირანი“ (ოჩამჩირე) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 1:0. მსაჯი რ. გარნოვსკი** (სამტრედია). გოლი: ქობალია („ამირანი“).

**„მალაროელი“ (ჭიათურა) — „დინამო“ (გაგრა) 1:0. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).** გოლი: სევასტოპულო („მალაროელი“).

მსაჯთან კამათისთვის გააფრთხილეს ჭიათურელი ი. გაბრიჩიძე და გაგრელი მ. ჩეკუნოვი.

**„დურუჯი“ (ყვარელი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 1:1. მსაჯი ჯ. წერეთელი (რუსთავი).** გოლები: მექვაბიშვილი („დურუჯი“), გ. ხუბეჯიშვილი („სპარტაკი“).

**„მეშახტე“ (ტყიბული) — „დინამო“ (ზუგდიდი) 5:0. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).** გოლები: რუსიშვილი — 2, ნატროშვილი, მაკარიძე, კანკია („მეშახტე“).

უხეში თამაშისთვის გააფრთხილეს ტყიბულელი ფეხბურთელი მ. მაკარიძე. მსაჯის სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის მინდვრიდან გააძევეს ზუგდიდელი ო. თუთბერიძე.

**„არმაზი“ (მცხეთა) — „მადნეული“ (ბოლნისი) 2:1. მსაჯი თ. ლორთქიფანიძე (თბილისი).** გოლები: ხუცურაული, ყაჩლავაშვილი („არმაზი“), ბად. უგულავა („მადნეული“).

**„ქართლი“ (გორის რაიონი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 6:2. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).** გოლები: მარღიშვილი, წკრიალაშვილი, კაბულაშვილი — 2, ახალკაცი, გოგიშვილი („ქართლი“), ჯუღელი, ანიაშვილი (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

სახიფათო თამაშისთვის გააფრთხილეს ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის წევრი დ. ძაგანია.

**„კოლხეთი“ (ხობი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 4:3. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).** გოლები: ქომეთიანი — 3, ჭიჭინაძე („კოლხეთი“), შონია — 3 („ეგრისი“).

**„ბახტრიონი“ (ახმეტა) — „ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი). 1:1. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).** გოლები: თედეშვილი („ბახტრიონი“), ანიაშვილი (ფიზკულტურის ინსტიტუტი).

**„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „დურუჯი“ (ყვარელი) 3:1. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).** გოლები: ფანჩულიძე, ჩინჩალაძე-2 („საპოვნელა“), ოსაძე („დურუჯი“).

ყვარლის „დურუჯისა“ და ხობის „კოლხეთის“ მატჩზე (გაიმარჯვა „დურუჯმა“ — 2:1) პროტესტი იქნა შეტანილი „კოლხეთის“ ხელმძღვანელების მიერ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპორტტექნიკურმა კომისიამ პროტესტი უსაფუძვლოდ მიიჩნია და მატჩის შედეგი ძალაში დატოვა. ამ შეხვედრაში გააფრთხილეს „დურუჯის“ ფეხბურთელები მინდიაშვილი და სანადირაძე, მსაჯმა ვ. ხეჩოიანმა კი ოქმში გაფრთხილებები ჩაუწერა მალიხინსა და ქორთიევს. სანადირაძისთვის ეს გაფრთხილება მესამე იყო, ამიტომაც მას შემდგომ თამაშებში მონაწილეობის უფლება არ ჰქონდა. ამის გამო ყვარლის „დურუჯს“ დამარცხებები ჩაეთვალა ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდთან, წყალტუბოს „შადრევანთან“ და ახმეტის „ბახტრიონთან“. ამასთან დაკავშირებით ამ გუნდებს „დურუჯთან“ გამარჯვებები ჩაეთვალათ.

### II ჯგუფი
### აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

„თორი“—„აბული“ 5:1, „კახეთი“ —„ჰერეთი“ 3:2, არაგვი“—„ვარძია“ 3:0, „ფოსტამტი“ — „ალგეთი“ 4:0, „იმედი“ — „თრიალეთი“ 7:0, „მესხეთი“ — სპი-„დინამო“-3 3:0.

### დასავლეთი ქვეჯგუფი

„ჩიხურა“ — „იმერეთი“ 2:1, „ქიმიკოსი“ — „მზიური“ 2:4, „ოდიში“ — „ჩხერიმელა“ 7:1, „დვაბზუ“ — „ნარინჯი“ 3:4, „საირმე“ — ხდკ (სამტრედია) 4:1, პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) — „მამისონი“ (ონი) 3:0, „კოლხეთი“-2 (ფოთი) — „დარჩელი“ 2:0.

### III ჯგუფი
### აღმოსავლეთი ქვეჯგუფი

„ქიზიყი“ — „ალაზანი“. 2:4, „სინათლე“-სპორტინტერნატი (თბილისი) — „გარეჯი“ (საგარეჯო) 1:1, „შირაქი“ — „ვარდისუბანი“ 0:1, „კოლმეურნე“ — „განთიადი“ (დმანისი) 7:2.

### ცენტრალური ქვეჯგუფი

„ცენტრმეტალურგმშენი“ (ზესტაფონი) — „ზარზმა“ 4:1, „ორპირი“ — „ლიახვი“ 8:2, „ქვემოჭალა“ — „მეავეჯე“ 2:0, „მშენებელი“ — „ფარვანა“ 8:0.

### მსაჯთა რეესტრი
### 5 ნოემბერი

„მალაროელი“ — „დინამო“ (ზუგდიდი). **ჯ. წერეთელი, გ. გულავა, ა. დათიაშვილი** (რუსთავი). „ქართლი“ (გორის რაიონი) — „არმაზი“ (მცხეთა). **ტ. ნიშნიანიძე, ა. მანუკიანი, დ. მენთეშაშვილი** (თბილისი). „მეშახტე“ (ტყიბული) — „შადრევანი“ (წყალტუბო). **შ. ხანიაშვილი** (თბილისი), **ვ. გვიჩია, მ. მირცხულავა** (ლანჩხუთი). „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი). **ი. გობრონიძე, თ. კოკაია, ვ. წულუკიძე** (ფოთი). „კოლხეთი“ (ფოთი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ). **რ. გარნოვსკი, მ. ჯულაყიძე, გ. კვანტალიანი** (სამტრედია). „დინამო“ (გაგრა) — „დურუჯი“ (ყვარელი). **გ. კალანდია, რ. ფარცვანია, რ. წულაია** (ზუგდიდი). „ეგრისი“ (ცხაკაია) — „ბახტრიონი“ (ახმეტა). **ი. კანდელაკი** (თბილისი), **ზ. მილჩენკო, ო. გაგუა** (სოხუმი). „ივერია“ (ხაშური) — „სალხინო“ (გეგეჭკორი). **ა. შილაკაძე, მ. კილაძე, რ. ტალიაშვილი** (თბილისი). „სპარტაკი“ (ცხინვალი) — „სქური“ (წალენჯიხა). **ვ. მიმინოშვილი, ე. სილაგავა, ბ. თოფურია** (თბილისი). ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „საპოვნელა“ (თერჯოლა). **ვ. ეჯიბია, გ. ხეჩუაშვილი, თ. სადილიანი** (თბილისი). „სულორი“ (ვანი) — „მადნეული“ (ბოლნისი). **მ. კობიაშვილი, ლ. გელაძე, თ. ლაცაბიძე** (თბილისი).

### 8 ნოემბერი

„მადნეული“ — „მალაროელი“. **ა. მანუკიანი, რ. ტალიაშვილი** (თბილისი), **გ. შავგულიძე** (რუსთავი). „არმაზი“ — „მეშახტე“. **მ. ჰელიძე** (თბილისი), **ო. კბილაშვილი, მ. მაჩიტიძე** (ქუთაისი). „ქართლი“ — „მეტალურგი“. **შ. ხანიაშვილი, რ. ვერულაშვილი** (თბილისი), **დ. რეხვიაშვილი** (გარდაბანი). „შადრევანი“ — „სამეგრელო“. **ი. გობრონიძე, თ. კოკაია, ვ. წულუკიძე** (ფოთი). „ამირანი“ — „დურუჯი“. **ი. კანდელაკი, თ. ლაცაბიძე, ვ. ეჯიბია** (თბილისი). „ბახტრიონი“ — „კოლხეთი“. **მ. კობიაშვილი, ბ. თოფურია, ნ. კილაძე** (თბილისი). „დინამო“ (გაგრა) — „ივერია“. **გ. სეფიაშვილი, გ. ხეჩუაშვილი** (თბილისი), **თ. ჭანტურია** (ხობი). „სალხინო“ — „საპოვნელა“. **რ. გარნოვსკი, მ. ჯულაყიძე, გ. კვანტალიანი** (სამტრედია). „სქური“ — „სულორი“. **თ. სადილიანი, თ. მენთეშაშვილი** (თბილისი), **თ. მაჭარაძე** (წულუკიძე). ფიზკულტ. ინსტ. — „დინამო“ (ზუგდიდი). **დ. გაგნიძე, თ. კურტანიძე, ზ. ლაცაბიძე** (თბილისი).

### 9 ნოემბერი

„ეგრისი“ — „სპარტაკი“. **გ. ხეჩუაშვილი, ა. შილაკაძე** (თბილისი), **ი. კვირკველია** (ჩხოროწყუ).

### გათამაშების ცხრილი

### I ჯგუფი

**მდგომარეობა 1 ნოემბრისათვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლხეთი“ | 35 | 23 | 8 | 4 | 82-41 | 54 |
| „სულორი“ | 35 | 23 | 7 | 5 | 63-29 | 53 |
| „დინ.“ ზ. | 35 | 21 | 10 | 4 | 81-41 | 52 |
| „ამირანი“ | 35 | 18 | 6 | 11 | 59-41 | 42 |
| „შადრევ.“ | 35 | 15 | 8 | 12 | 51-47 | 38 |
| „სამეგრ.“ | 35 | 17 | 2 | 16 | 66-66 | 36 |
| „მეტალ.“ | 35 | 15 | 5 | 15 | 59-52 | 35 |
| „სპარტაკი“ | 35 | 13 | 9 | 13 | 59-51 | 35 |
| „საპოვნ.“ | 36 | 13 | 8 | 15 | 40-50 | 34 |
| „მადნეული“ | 34 | 12 | 10 | 12 | 62-56 | 34 |
| „დინ.“ გ. | 35 | 14 | 5 | 16 | 40-47 | 33 |
| „დურუჯი“ | 36 | 11 | 11 | 14 | 38-43 | 33 |
| „მალარ.“ | 35 | 14 | 4 | 17 | 56-60 | 32 |
| „ბახტრ.“ | 34 | 12 | 7 | 15 | 41-51 | 31 |
| „ივერია“ | 34 | 11 | 8 | 15 | 38-52 | 30 |
| „მეშახტე“ | 35 | 10 | 10 | 15 | 32-49 | 30 |
| „სქური“ | 35 | 12 | 5 | 18 | 49-57 | 29 |
| „სალხინო“ | 35 | 11 | 7 | 17 | 46-60 | 29 |
| „არმაზი“ | 35 | 9 | 11 | 15 | 42-55 | 29 |
| „ფიზ. ინ. თბ. | 35 | 8 | 11 | 16 | 54-77 | 27 |
| „ქართლი“ | 34 | 10 | 6 | 18 | 41-59 | 26 |
| „ეგრისი“ | 35 | 10 | 6 | 19 | 42-68 | 26 |

ფეხბურთი

# I ლიგის საგზურისთვის

**„ტორპედო“ (ქუთაისი) — „ცემენტი“ (ნოვოროსიისკი) 0:0.**

**ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 1 ნოემბერი.**

**„ტორპედო“: ჩხეიძე, პაპავა, თევზაძე, ბზიკაძე, ჩხაიძე, შენგელია, კიკლიაშვილი, ხარაბაძე (გიგატაძე), მეგრელაძე, დარასელია, კაჭარავა.**

**„ცემენტი“: ივანენკო, ხოდეევი, ლუშინი (პუზიკოვი), პისარევი, გერასიმოვი, ნოვიკოვი (კოლტუნი), დიშეკოვი, ბუტენკო (ბაღდასარიანი), შამხანოვი, არყანიხი, ეშკოვი.**

**მსაჯი ტ. ბეჩუბიაკი (ლენინგრადი).**

**გააფრთხილეს შამხანოვი.**

ფეხბურთის გულშემატკივრებს დიდი ხნის შესვენების შემდეგ კვლავ მიეცათ საშუალება ტელევიზიით ენახათ ქუთაისის „ტორპედოს“ თამაში, მაგრამ სწორედ ამ დღეს ტორპედოელებმა ვერ შეძლეს თავიანთი შესაძლებლობების სრულად გამომჟღავნება.

დასაწყისი წინა მატჩის ანალოგიური იყო: „ტორპედო“ რატომღაც შებოჭილად და ერთხაზოვნად მოქმედებდა, სტუმრებმა კი მთელი აქცენტი დაცვაზე გადაიტანეს. ქუთაისელები ნაკლებად ცდილობდნენ ფლანგებზე თამაშს და ძირითადად მინდვრის ცენტრში მოქმედებდნენ, მაინც, მათ რამდენიმეჯერ შეეძლოთ დაწინაურება. 29-ე წუთზე კაჭარავას ძლიერი დარტყმა მოიგერია „ცემენტის“ მეკარემ ივანენკომ (მან შესანიშნავად ჩაატარა მატჩი და საუკეთესო მოთამაშის პრიზიც დაიმსახურა). 31-ე წუთზე კიკლიაშვილის დარტყმა ძელმა მოიგერია, მას პირველმა მიუსწრო ჩხაიძემ, მაგრამ მცველებთან ბრძოლაში ველარ მოახერხა კარში ზუსტად დარტყმა. ასევე დასამახსოვრებელი იყო კიკლიაშვილ-მეგრელაძის კომბინაცია, მათ მეკარესთან პირისპირ დატოვეს კაჭარავა, ბოლო მომენტშიც კვლავ ივანენკო გამოვიდა გამარჯვებული.

მეორე ნახევარზე დაწვრილებით აღარ შევჩერდებით, რადგან ის მრავალმა გულშემატკივარმა ნახა. ბოლო 45 წუთშიც არ ჩანდა ფლანგური გარღვევები, ცენტრში კი „ცემენტმა“ ისეთი ბეტონი „ჩაასხა“, რომ ტორპედოელებს უჭირდათ მისი გარღვევა, თუმცა მასპინძლებმა მაინც შექმნეს რამდენიმე სახიფათო მომენტი, მაგრამ ამ დღეს სპორტული იღბალი და მსაჯთა სიმპატიებიც „ცემენტის“ მხარეს იყო. მოდით, ყველაფერს ნუ დავაბრალებთ მსაჯს და ქუთაისელთა უიღბლობას, მათ მეტის გაკეთება შეეძლოთ და ეს ვერ შეძლეს.

ტორპედოელებს ამ მატჩში მეტი მოეთხოვებოდათ, მაგრამ დაკარგული ჯერ ბევრი არაფერია, ჩვენს გუნდს შესწევს იმისი ძალა, რომ გასვლით მატჩებში ყველაფერი გააკეთოს პირველი ლიგის საგზურის მოსაპოვებლად.

**თამაზ ხარაბაძე.**
**(ტელეფონით, „ლელოს“ კორ.).**

## ფეხბურთელები დააპატიმრეს

**როგორც** გაზეთ „იზვესტიის“ საკუთარი კორესპონდენტი ბ. როდიონოვი იუწყება ბუდაპეშტიდან, უნგრეთის ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის მონაწილე ქალაქ პეჩის გუნდში ამხილეს ყალთაბანდების ჯგუფი.

ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეთა უმეტესობას ბრალად ედება თამაშების ყიდვა-გაყიდვა, წინასწარი გარიგებები. ქალაქ პეჩის ფეხბურთელთა გარდა იგივე ბრალდება წაუყენეს უმაღლესი ლიგის გუნდების სხვა ფეხბურთელებს, კერძოდ, ცნობილ „ჰონვედის“ მოთამაშეებს.

ფეხბურთი

## მ. პლატინი — მწვრთნელი

**განთქმული** ფრანგი ფეხბურთელი მიშელ პლატინი, რომელიც ახლა 33 წლისაა, გასულ სამშაბათს დანიშნეს საფრანგეთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელად, რის შესახებაც პრესის წარმომადგენლებს განუცხადა საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარემ ჟან ფურნე-ფაიარმა.

საფრანგეთის ნაკრები მიშელ პლატინის მეთაურობით 19 ნოემბერს ბელგრადში ითამაშებს იუგოსლაველთა წინააღმდეგ მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პროგრამით. მ. პლატინიმ თანაშემწედ აირჩია ცნობილი მწვრთნელი ჟერარ უიე, რომელიც პარიზის „პარი-სენ-ჟერმენს“ ედგა სათავეში, ხოლო ნაკრების ყოფილი ხელმძღვანელი ანრი მიშელი ტექნიკური დირექტორის ფუნქციებს შეასრულებს.

აქ განსაკუთრებული როლი ითამაშა „ბორდოს“ პრეზიდენტმა ჟორჟ ბეზმა, ამბობენ, რომ თვით იგი ნაკრების გენერალური დირექტორის პოსტს დაიკავებს.

გამორიცხული არაა, რომ საფრანგეთის ახალი ეროვნული ნაკრები სწორედ „ბორდოს“ ბაზაზე დაკომპლექტდება და ნაკრებში ალბათ დააბრუნებენ ვეტერან ფეხბურთელს ჟან ტიგანას. მის გარდა, კანდიდატებად ასახელებენ ტუვენელს, როშს, ფერერას, სტოპირას.

## იტალია — მსოფლიოს ნაკრები

**1 ნოემბერს** რომში შედგა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ იტალიის ნაკრები, რომელმაც 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მოიპოვა გამარჯვება, და ე. წ. „მსოფლიოს ნაკრები“.

თამაში დამთავრდა ანგარიშით 3:3. მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელთაგან თავი გამოიჩინეს ოლეგ ბლოხინმა, რომელმაც 2 ბურთი გაიტანა და ფრანგმა მიშელ პლატინიმ, ხოლო იტალიელთაგან — გაბრიელე ორეალიმ, პაოლო როსიმ და ალესანდრო ალტობელიმ. იტალიელებმა სამივე გოლი მატჩის ბოლო 8 წუთის განმავლობაში გაიტანეს.

იტალიელთა რიგებში არ იყო მხოლოდ ცნობილი მეკარე დინო ძოფი, რომელიც ამჯერად თავისი გუნდის მწვრთნელის როლში მოგვევლინა. უამინდობის მიუხედავად თამაშს დაესწრო 15 ათასი მაყურებელი, მატჩის მთელი შემოსავალი გადაეცა ინვალიდთა ფონდს.

# შემობრუნება

(დასასრული)

**⊙ რა პრინციპით მოხდა ტურნირში მონაწილე კოლექტივების შერჩევა?**

— შარშანდელი შედეგების შეჯამებამ გამოავლინა კომპლექსურ ჩათვლაში დაწინაურებული გუნდები. რვა მათგანს ხვდა პატივი წილად გაეთამაშებინა საპატიო პრიზი. საქართველოს კომპლექსურ ჩათვლაში მეორე შედეგი ჰქონდა და ჩვენი ნაკრები, ბუნებრივია, მაძიებელთა შორის ჩაირიცხა.

**⊙ როგორი ფორმულით ჩატარდა ტურნირი?**

— რვა გუნდი ორ შესარჩევ ჯგუფად დაიყო. პირველ ჯგუფში მოხვდნენ: რუსეთის ფედერაცია, ბელორუსია, მოსკოვი და ყაზახეთი, მეორეში — საქართველო, უკრაინა, უზბეკეთი და სომხეთი. ჯგუფურ ტურნირში ყველა გუნდი ყველას ხვდებოდა. პირველ ადგილზე გასულ კოლექტივებს ფინალურ შეხვედრაში მთავარი ჯილდოსთვის უნდა ებრძოლა.

**⊙ რაიმე სიახლე თუ იყო შეჯიბრებების დებულებაში?**

— სამ წონაში — უმჩატესში, მჩატესა და მძიმეში, სავალდებულო იყო ორ-ორი მონაწილის გამოყვანა.

**⊙ რატომ იყო პრივილეგირებული ეს სამი წონა?**

— პრივილეგია, ამ შემთხვევაში, არაფერ შუაშია. უბრალოდ, ეს სამი წონა დღესდღეობით დეფიციტურად ითვლება ჩვენში და ბუნებრივია მას მეტ ყურადღებას უთმობენ.

**⊙ ვიცით, რომ ჭიდაობა ახალი წესებით ტარდებოდა. რა არის თქვენი აზრით, მათში განსაკუთრებული?**

— ახალმა წესებმა ბრძოლა უფრო დინამიური და აქტიური გახადა. ფიზიკურ და ტაქტიკურ მომზადებასთან ერთად ახლა დიდი მნიშვნელობა აქვს მოჭიდავის სწრაფ აზროვნებას. შესვენების გარეშე ხუთწუთიანმა ბრძოლამ შესამჩნევად გაზარდა ორთაბრძოლების სანახაობრივი მხარეც. ერთი სიტყვით, მოსაწყენ, უფერულ შეხვედრებს ახლა იშვიათად ნახავთ.

ჯგუფური ტურნირის პირველი შეხვედრა ჩვენ გუნდს ერთ-ერთ ფავორიტთან, უკრაინის ნაკრებთან ჰქონდა. ეს ორთაბრძოლა საქართველოს მოჭიდავეებმა მოიგეს — 8:4. გამარჯვების ქულები ჩვენს კოლექტივს მოუტანეს: ნუგზარ საკიანმა (48 კგ), ზურაბ ტატუაშვილმა (52 კგ), ეგია მუსოიანმა (57 კგ), შამილ მაჰამედოვმა (62 კგ), გოჩა გაბოძემ (68 კგ), მამუკა რაზმაძემ (90 კგ), ზაზა ტყეშელაშვილმა (100 კგ) და გიორგი გალდავამ (130 კგ). საინტერესოა აღინიშნოს ერთი დეტალი: ტატუაშვილი უკრაინელ ოლეგ კონიუშენკოსთან შეხვედრას აგებდა 0:5, მაგრამ გამოიჩინა დიდი ნებისყოფა და მეტოქე წმინდად დაამარცხა. ასევე შეხვედრის მიწურულს გამოასწორეს მდგომარეობა და გუნდს მეტად საჭირო ქულები შესძინეს გაბოძემ და მუსოიანმა.

საქართველოს მოჭიდავეებმა ჯგუფური ტურნირის სხვა შეხვედრებშიც იმარჯვეს, სომხეთის გუნდი დაამარცხეს ანგარიშით 10:3 (გამარჯვებები მოიპოვეს: საკიანმა, ტატუაშვილმა, მუსოიანმა, მაჰამედოვმა, 74 კგ-ში გიორგი ივანიშვილმა, 82 კგ-ში ავთანდილ გოგოლიშვილმა, რაზმაძემ, ტყეშელაშვილმა, გალდავამ და 130 კგ-ში მერაბ ვალიევმა), უზბეკეთისა კი 11:2 (გაიმარჯვეს: საკიანმა, ტატუაშვილმა, მუსოიანმა, მაჰამედოვმა, ივანიშვილმა, გაბოძემ, გოგოლიშვილმა, რაზმაძემ, ტყეშელაშვილმა, ვალიევმა და გალდავამ).

ამასობაში ყველა შეხვედრა მოიგო პირველი ჯგუფის ფავორიტმა რუსეთის ფედერაციის გუნდმაც (დაამარცხა ბელორუსია — 7:6, მოსკოვი — 9:4, ყაზახეთი — 11:2) და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

ფინალური ბრძოლა საქართველოსა და რუსეთის მოჭიდავეთა შორის, ბუნებრივია, უფრო მძაფრი და დაძაბული იყო. პირველი ქულა ჩვენს მეტოქეს სულთან დაუდოვმა მოუტანა, მაგრამ მომდევნო შეხვედრაში საკიანმა დაამარცხა ანდრეი მატიუნოვი და ანგარიში გათანაბრდა. ამის მერე საქართველოს მოჭიდავეებმა ზედიზედ ორი შეხვედრა მოიგეს (სისაურმა და ტატუაშვილმა). მუსოიანისა და აბდულაზიზ აზიზოვის ბრძოლაში წარმატება რუსეთის გუნდის წევრს ხვდა, სამაგიეროდ მაჰომედოვმა მაჰამედ აზიზოვი დაამარცხა.

მომდევნო ორ შეხვედრაში წარმატებას ისევ ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა მიაღწიეს (ბორის ბუდაევმა გაბოძეს აჯობა, გამზათ ხაზამოვმა კი ივანიშვილს) და ანგარიშიც გათანაბრდა — 4:4. ეს იყო ამ ორთაბრძოლაში ყველაზე კრიტიკული მომენტი. მერე გოგოლიშვილმა, რაზმაძემ და ტყეშელაშვილმა შესაბამისად დაამარცხეს მუსლიმ მეჯიდოვი, სერგეი კოვალევსკი და კონსტანტინე ალექსანდროვი და ანგარიში გახდა 7:4 საქართველოს ნაკრების სასარგებლოდ. შეხვედრის ბედი ამ მომენტისთვის ფაქტიურად გადაწყვეტილი იყო და მძიმე წონის მოჭიდავეთა გამოსვლებს მხოლოდ პრესტიჟული მნიშვნელობა ჰქონდა. გამოცდილმა ვიქტორ ზანგიევმა თავის კოლექტივს მეხუთე და უკანასკნელი ქულა მოუტანა (მოუგო ვალიევს), ორთაბრძოლას კი გამარჯვების წერტილი გალდავამ დაუსვა, რომელმაც ოლეგ ნანიევი დაამარცხა. ანგარიში 8:5 საქართველოს მოჭიდავეთა უდავო უპირატესობაზე მეტყველებს.

მესამე ადგილისთვის უკრაინისა და ყაზახეთის წარმომადგენლები იბრძოდნენ. უკრაინელებმაც იმავე ანგარიშით (8:5) გაიმარჯვეს და გათამაშებაში III საპრიზო ადგილი დაიკავეს.

გუნდური შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ჩატარდა პირადი ტურნირი (ვინც გუნდურ შეჯიბრებაში 2-2-ჯერ იყო დამარცხებული, პირად ასპარეზობაში არ გამოსულა). აქ კი წარმატებას ჩვენი რესპუბლიკის სამმა წარმომადგენელმა მიაღწია. ზურაბ ტატუაშვილმა (52 კგ) დაამარცხა საკავშირო ჩემპიონატის მეორე პრიზიორი სასუნ ექშატიანი (სომხეთი) და პირველი ადგილი დაიკავა. პირად ჩათვლაში გაიმარჯვეს, აგრეთვე, მამუკა რაზმაძემ (90 კგ) და ეგია მუსოიანმა (57 კგ). რაზმაძემ საკავშირო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს მოსკოველ რუდიკ არუთინიანს წმინდად მოუგო (1,30 წუთში), მუსოიანმა კი ქულებით აჯობა ბელორუსიელ სერგეი სმალის.

საკიანმა (58 კგ), მაჰამედოვმა (62 კგ), გაბოძემ (68 კგ), ტყეშელაშვილმა (100 კგ) და გალდავამ (130 კგ) პირად ჩათვლაში II საპრიზო ადგილები დაიკავეს, გოგოლიშვილი (82 კგ) კი მესამეზე გავიდა.

---

წყალბურთელთა საკავშირო პირველობა ⊙ პირველი ლიგა

## პროგრამა მინიმუმი შეასრულეს

**ქდანოვსა** და კაუნასში გაიმართა წყალბურთელთა საკავშირო პირველობის მეორე წრის მატჩები, რომლებიც V ტურის შეხვედრები იყო. № 3 უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის ბაზაზე შექმნილი თბილისის ასკ ასპარეზობდა ჟდანოვში, სადაც სამი შეხვედრა ჩაატარა და 2 ქულა აიღო, რითაც გუნდის ხელმძღვანელობა კმაყოფილი დარჩა. თბილისელები დიდი ანგარიშით დამარცხდნენ ერთპიროვნულ ლიდერთან, მოსკოვის „ტორპედოსთან" — 3:11. ჩვენმა წყალბურთელებმა ასევე დიდი ანგარიშით, 13:6, წააგეს ვოლგოგრადის „სპარტაკთან", რომელიც მესამე ადგილზე იმყოფება, ის 2 ქულა კი სატურნირო ცხრილის შუაში მყოფ კიშინიოვის უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკურ სკოლის გუნდთან აიღეს — 9:8.

ახლა სატურნირო ცხრილში ასეთი მდგომარეობაა: I „ტორპედო" (32 ქულა). II კაუნასის „ბანგა" (26), III „სპარტაკი" (24), IV დუშანბეს ასკ (22), V ჟდანოვის „აზოვი", VI ტაშკენტის „მეხნატი" (20-20), VII კიშინიოვის უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სკოლის გუნდი (18), VIII ყაზანის „სინთეზი" (17), IX თბილისის ასკ (16), მოსკოვის „მაიაკი" (14), XI ბაქოს უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სპორტსკოლის გუნდი, XII ლენინგრადის „ბალტიკა" (9-9).

ამრიგად, ბოლო, VI ტურის წინ თბილისელებმა თავიანთი პროგრამა მინიმუმი უკვე შეასრულეს და ლიგაში დარჩნენ. ბოლო ტურში ისინი უმასპინძლებენ აუტსაიდერებს: „მაიაკის", „ბალტიკისა" და ბაქოს წყალბურთელებს. ეს შეხვედრები 12 ნოემბერს დაიწყება.




**თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 29-30 ოქტომბერი.**

**„თბილისობის შვიდკაცას" პირველი გათამაშება.**

**მსაჯები: გოჩა აბაშიძე (იმსჯა 9 შეხვედრა), ზურაბ რეხვიაშვილი (8).**

**„ა" ქვეჯგუფი: „ავიატორი" — ზოოვეტი 14:3, „მწვანეზოლიანები" (რრკ-ის ჭაბუკთა გუნდი) — ზოოვეტი 16:3; „მწვანეზოლიანები" — „ავიატორი" 6:4 (0:4).**

**„ბ" ქვეჯგუფი. სპი — თსუ 16:0, „შავზოლიანები" (რრკ) — თსუ 28:0; „შავზოლიანები" — სპი 12:0 (6:0).**

**„გ" ქვეჯგუფი: „თბილისობა" (ქარისკაც რეგბისტთა გუნდი) — სამხატვრო აკადემია 10:0; „შევარდენი" — სამხატვრო აკადემია 16:0; „თბილისობა" — „შევარდენი" 10:0 (0:0).**

**სანუგეშო ჯგუფი. სამხატვრო აკადემია — თსუ 11:10 (7:4).**

**დამატებითი ტურნირი ნახევარფინალში გასასვლელად. სპი — „ავიატორი" 15:7 (6:7); სპი — „შევარდენი" 6:4 (0:4); „შევარდენი" — „ავიატორი" 18:0.**

**ნახევარფინალები. „თბილისობა" — „მწვანეზოლიანები" 15:0 (6:0); „შავზოლიანები" — სპი 18:4 (4:4).**

**მატჩი მესამე ადგილისათვის. „მწვანეზოლიანები" — სპი 4:0 (4:0).**

**ფინალი. „შავზოლიანები" — „თბილისობა" 10:8 (0:4).**

**„შავზოლიანები": კ. გიუნაშვილი, ბასილაშვილი, გ. გიუნაშვილი; გაბრიჩიძე; ა. ხვედელიძე, საცერაძე, მანთიძე (მეტრეველი, 9).**

**„თბილისობა": ნ. მგელაძე, თეზელაშვილი (ბესელია, 12), ნარიმანიძე; ი. ლეჟავა, მაჩიტიძე, ჩიქვინიძე, მარჯანიშვილი.**

**გოლები: თეზელაშვილი (5, ლელო); გ. გიუნაშვილი (16, ლელო); ხვედელიძე (19, ლელო), საცერაძე (გარდასახვა); მგელაძე (20, ლელო).**

**საბოლოო კლასიფიკაცია: 1. „შავზოლიანები", 2. „თბილისობა", 3. „მწვანეზოლიანები", 4. სპი, 5. „შევარდენი", 6. „ავიატორი", 7. სამხატვრო აკადემია, 8. უნივერსიტეტი.**

გულახდილნი ვიყოთ: „თბილისობის შვიდკაცას" შეჯიბრებამ ნაწილობრივ თუ შეასრულა თავისი დანიშნულება. უეჭველია, თამაშის საერთო მაღალი დონე, გულითადი დამოკიდებულება მონაწილეთა შორის, ჯერაც გამოუცდელ ორგანიზატორთა გაწაფულობა ქართველი რეგბისტების ახალი წამოწყების წარმატებაზე მეტყველებს, მაგრამ არარეგბისტი მაყურებლის სიმცირე,



უფრო სწორად, მისი სრული არყოლა, შეჯიბრების სერიოზული ნაკლია.

დიახ, არათუ საქართველოში, არამედ მთელს საბჭოთა კავშირშიც პირველმა საშვიდკაცო შეჯიბრებამ ქმედითი რეკლამის უქონლობისა და უეცარი გაავდრების გამო რეგბის ვერ შესძინა ახალი თაყვანისმცემლები. სამაგიეროდ მან, ვინც არ შეუშინდა ქინქლს, სიცივესა და ქარს, აღმოაჩინა, რომ შვიდკაციანი რეგბი არც დიდ მოედანზე გამართული დაჭერობანა ყოფილა და არც ბურთისთვის მებრძოლ მოთამაშეთა გაუთავებელი ჭიდილი. თანაც ამ თამაშისათვის გვარიანი გამძლეობა, სიმარდე და უმაგალითო თავდადებაც რომ ყოფილა საჭირო, ესეც ცხადი გახდა.

ჩვენი გუნდების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ თითქმის ყველამ, ზოგმა თავიდანვე, ზოგმა კი — თანდათან, ალღო აუღო შვიდკაცას. ამის გამო მაყურებელმა მრავლად იხილა გააზრებული იერიში, როცა თანაგუნდელები ოსტატურად მიჰყვებოდნენ ბურთიანს და შეტევას შეუფერხებლად აგრძელებდნენ. იყო გამიზნული და გამართლებული დარტყმებიც ფეხით, ბარე ოცჯერ კი დამცველმა გუნდმა ბურთიანი მეტოქე ზედ კარის ხაზთან შებოჭა. ცხადია, იყო კურიოზული შეცდომებიც, რომელთა შემდეგაც ლელოს გაუტანლობა უბრალოდ წარმოუდგენელი იყო. იყო ჩოჩქოლიცა და ზედახორებიც, თავზეხელაღებული რეიდებით ზედმეტად გატაცებაცა და, რაც ძალზე საწყენია, ფრთხილი და ანგარიშიანი თამაშიც. ამ მხრივ განსაკუთრებით საკავშირო ჩემპიონატის მონაწილე რეგბისტები სცოდავდნენ. ზოგმა გუნდმა თავი ვერ დააღწია დიდი რეგბის სტერეოტიპებს, სხვებს კი საგანგებოდ შვიდკაცასთვის მომზადებული კომბინაციები თამაშში არ გამოადგათ.

ბოლოს ორიოდე სიტყვა ტურნირის შედეგებზე. სასიამოვნო მოულოდნელობა იყო პოლიტექნიკური ინსტიტუტის განახლებული გუნდის ლაღი, უშიშარი თამაში. აშკარად შეჯიბრების უხეირო ფორმულის ბრალია პოლიტექნიკოსებს ყველაზე მეტი — ექვსი მატჩის გამართვამ რომ უწიათ, რის გამოც ისინი საპრიზო ადგილს მიღმა დარჩნენ.

არ გაუმართლა „შევარდენს". ასაკის კვალობაზე რიგიანად ითამაშეს „მწვანეზოლიანებმა", „შავზოლიანებმა" კი მრისხანე და ჯან-ღონით სავსე მეტოქესთან — „თბილისობასთან", ფინალურ შეხვედრაში, ბურთის მეტწილად ფლობის მიუხედავად, უსწორო ტაქტიკის გამო მხოლოდ მატჩის მიწურულს შეძლეს დაწინაურება და ახალგაზრდა მოქანდაკის რამაზ ხვედელიძის ნაკეთი გარდამავალი ჯილდო თბილისობისემბლემიანი სპილენძის ლანგარი მოიპოვეს.

### საერთაშორისო ჩოგბურთის სიახლენი

გრძელდება ჩოგბურთელთა საერთაშორისო სეზონი.

**ბონი.** შარშან მსოფლიოს საუკეთესო გუნდი ქალთა შორის გახდა გფრ-ის ნაკრები, რომელმაც შტეფი გრაფის მეთაურობით მოიგო ე. წ. „ფედერაციის თასი". ანალოგიური ტურნირი წლეულს მელბურნში ჩატარდება (4-11 დეკემბერი), მაგრამ, როგორც ცნობილი გახდა, მასში მონაწილეობას ვერ მიიღებს მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელი, უიმბლდონის ჩემპიონი და „დიდი მუზარადის" მფლობელი შტეფი გრაფი. ასეთი განცხადება გააკეთა სპორტსმენის მამამ პიტერ გრაფმა. მისი სიტყვებით: „შტეფი სერიოზულადაა გადაღლილი და ექიმების რჩევით მან უნდა დაისვენოს".

**სტოკჰოლმი.** შვეციის დედაქალაქის ღია ჩემპიონატი, ტრადიციულად, დახურულ კორტზე იმართება. წლევანდელმა ტურნირმა ადგილობრივ სპორტის მოყვარულთა იმედები გააწბილა. უიმბლდონის ჩემპიონმა სტეფან ედბერგმა პირველსავე წრეში მარცხი იწვნია ნაკლებად ცნობილი იტალიელის პაოლო კანესაგან — 6:4, 3:6, 1:6.

### ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია. 3 ნოემბერი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; საერთაშორისო ტურნირი ფიგურულ ციგურაობაში გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის" პრიზზე — **0.30 (2).**

**4 ნოემბერი.** დილის ტანვარჯიში — **9.00 (2)**; საერთაშორისო ტურნირი ფიგურულ ციგურაობაში გაზეთ „მოსკოვსკიე ნოვოსტის" პრიზზე — **14.30 (2) და 0.15 (2)**; სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში. „დინამო" (კიევი) — „დინამო" (მოსკოვი) — **19.25 (2).**

**საქართველოს ტელევიზია. 3 ნოემბერი.** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „დინამო" (თბილისი) — „ტორპედო" (მოსკოვი) — **19.30.** სპორტული პროგრამა — **22.50.**

**საქართველოს რადიო. 4 ნოემბერი.** სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში: „შახტიორი" (დონეცკი) — „დინამო" (თბილისი) — **22.00.**

---

### ორი მატჩი

გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ორი მატჩი.

**ლენინგრადი.** როგორც ვიუწყებოდით, ადგილობრივმა „სპარტაკმა" პირველი შეხვედრა მინსკის რტი-ს 5 ქულით მოუგო. განმეორებით მატჩშიც წარმატება მასპინძლებს ხვდათ — 86:76 (48:30). სპარტაკელებს ექვსი თამაშის შემდეგ 9 ქულა აქვთ, რტი კი მას ერთი ქულით უსწრებს.

**დონეცკი.** „შახტიორმა" მორიგი მარცხი განიცადა. ამჯერად მას ტალინის „კალევმა" აჯობა. ბრძოლა უაღრესად მძაფრი იყო. ტაიმი დონეცკელმა კალათბურთელებმა მოიგეს 8 ქულით — 49:41. მაგრამ შესვენების შემდეგ ინიციატივა ესტონელთა მხარეს გადავიდა, რომლებმაც მოიპოვეს კიდეც გამარჯვება 81:79.

### თასების თასის სტარტზე

გაიმართა კალათბურთელთა ევროპული ტურნირების პირველი მატჩები.

**კაუნასი.** ადგილობრივმა „ჟალგირისმა" თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში ბელგიის კლუბ „მაკაბი ბრიუსელს" უმასპინძლა და დაამარცხა იგი 108:71 (52:31). ყველაზე შედეგიანი კალათბურთელები იყვნენ ხომიჩუსი და რონი („მაკაბი"). პირველმა თავის კოლექტივს 21 ქულა შესძინა, მეორემ — 20.

ამ ტურნირის სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა:

„ოროსლანი" (უნგრეთი) — „ჰაპოელ ქალილი" (ისრაელი) 69:70 (37:52).

„უუდენკაუპუნგინი" (ფინეთი) — „შტაინერ ოპტიკი" (გფრ) 76:80 (40:33).

„მინივარ ბსვ" (ჰოლანდია) — „შოლე" (საფრანგეთი) 75:56 (33:35).

„პული ბასკეტი" (შვეიცარია) — აეკ (საბერძნეთი) 113:100 (52:47).

ცსკა (ბულგარეთი) — „სნაიდერო ბასკეტ კაზერტა" (იტალია) 74:84 (52:42).

„იუბსკ სკულ ველსი" (ავსტრია) — „ციბონა" (იუგოსლავია) 71:97 (26:45).

რედაქტორი
თ. ბაჩეჩილაძე

ინდექსი 66485. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. უე 05585